

„განხილულია“
სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი № 02-02-06/01. 25.01.2019 წ

„დამტკიცებულია“
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/02.
28.01.2019

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

სამართალმცოდნეობა

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: სამართლის ბაკალავრი
QUALIFICATION/ACADEMIC DEGREE - BACHELOR OF LAW

პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები:
პროფესორი - ნუგზარ ფუტყარაძე
პროფესორი - დოდო ჯულუხაძე
ასისტენტი - ია შალამბერიძე

ხიჭაური 2019 წ.

1. პროგრამის სახელწოდება: სამართალმცოდნეობა

2. განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

3. კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სამართლის ბაკალავრი

4. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, სადაც 165 კრედიტი ძირითადი სასწავლო კურსებია, მათ შორის 10 კრედიტი პრაქტიკულ კომპონენტს ეთმობა. 35 კრედიტი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებია, სპეციალობის არჩევით საგნებს 30 კრედიტი ეთმობა, მათ შორის 10 კრედიტი სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომი) ეთმობა, ხოლო თავსუფალ არჩევით საგნებს 10 კრედიტი აქვს დათმობილი.

5. სწავლების ენა: პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე

6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სამართლებრივი საკითხების გაგების, გაანალიზებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების სწავლებას, რაც ემსახურება თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მქონე იურისტის მომზადებას. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენტური სპეციალისტის მომზადება, კერძოდ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სამართლის ფუნქციების შესწავლის გზით სტუდენტს მისცეს:

- ✓ სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება საჯარო და კერძო სამართლის დარგებში.
- ✓ საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღწევის, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- ✓ სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი და უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- ✓ სამართლის სფეროში სამართლებრივი საკითხის შეფასების, ანალიზის, მათ შესახებ მსჯელობის, საკუთარი აზრის არგუმენტირებულად ჩამოყალიბების, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარები;

7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის და ა(ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

8. სწავლების ფორმატი:

სწავლება წარიმართება ლექციების, სემინარების, პრეზენტაციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ფორმატით.

ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც არაუმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი დამოუკიდებელი სამუშაო. სააუდიტორიო სწავლება მიმდინარეობს რვა სემესტრის განმავლობაში. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტსა და პრაქტიკას სტუდენტი ასრულებს სწავლების მერვე სემესტრში.

9. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	
<p>სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება</p>	<p>სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის და აცნობიერებს: ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების, სპეციალიზაციის სფეროს (საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის) ცოდნა, რაც აისახება ქვედარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.</p> <p>კურსდამთავრებულმა იცის: სამართლის ცნება და ფუნქციები, ძირითადი პრინციპები, სამართლის თეორიები, სამართლის ნორმის სტრუქტურა და სახეები, განმარტების მეთოდები, სამართლის შეფარდება, სამართლის ენა და სამართლის სისტემები; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ძველი ქართული სამართლის ცალკეული დარგები და ინსტიტუტები.</p> <p>სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები;</p> <p>კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი; სანივთო (ქონებრივი) სამართალი; ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი დებულებანი, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები); საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი; შრომისა და დასაქმების სამართალი; სამეწარმეო სამართალი;</p> <p>ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები, ადმინისტრაციული ურთიერთობის სუბიექტები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და მათი განხორციელების წესები;</p> <p>სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები, პრინციპები და ინსტიტუტები, ცალკეული დანაშაულები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების პრინციპები, საქმისწარმოების თავისებურებანი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, პროფესიული ეთიკა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	

<p>სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად</p>	<p>შესწევს უნარი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის.</p> <p>აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.</p> <p>შეუძლია დისკუსია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტების, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის, შეგებებული სარჩელის და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის) შედგენა. განსხვავებული აზრის გაგება და სამართლებრივი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთება-დაცვა. აქვს ფაქტებისა და გარემოებების სამართლებრივი შეფასების უნარი;</p> <p>შეუძლია სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაცია და შეფარდება;</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	
<p>სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება</p>	<p>შეუძლია სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის, თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთება.</p> <p>თეორიული და პრაქტიკული ხედვის ურთიერთშეჯერების საფუძველზე განახორციელოს სამართლებრივი პრობლემის სწორი ანალიზი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	
<p>იდებების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება</p>	<p>შეუძლია მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე ინფორმაციის მოძიება, ზეპირი/ წერილობითი ფორმით მოსაზრების მომზადება, წარდგენა და ინფორმაციის გადაცემა. სამართლის მიმართულებით დებატებში ჩართვა, განსხვავებული მოსაზრების გაგება, აღქმა, იურიდიული ტერმინოლოგიით ცოდნის გადმოცემა, ასევე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	
<p>საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა</p>	<p>შეუძლია საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერული სიახლეების გაანალიზება. აქვს ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), მოძიებისა და დამატებითი ინფორმაციის მოპოვების უნარი. შესწევს ცოდნის დამოუკიდებლად და მუდმივი განახლების უნარი.</p>

ღირებულებები	
ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.	შეუძლია: კანონის უზენაესობის, ცალკეულ ინდივიდთა დემოკრატიული და სამართლებრივი ფასეულობების დაცვა. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზენაეს ადამიანურ ღირებულებად აღქმა; კანონიერების, სამართლიანობის, თანასწორუფლებიანობის, თავისუფლების და სხვ. ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; პროფესიული ეთიკის ნორმების გაცნობიერება და დაცვა.

9. სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. ლექტორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
- დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
- შემთხვევის ანალიზი (Casestudy) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
- გონებრივი იერიში (Brainstorming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ✓ პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- ✓ დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- ✓ გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- ✓ კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- ✓ შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- ✓ უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
- როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსი
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.
- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: კონსპექტის, თეზისის შედგენას, დაკონსპექტებას, ტესტების, რეფერატის, პრეზენტაციის ან ესეს შესრულებას და ა.შ.

11. სტუდენტის შეფასების სისტემა

1. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

2. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობით: სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობით, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.

3. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.

4. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერიითი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს. სტუდენტის შეფასება ხდება შეფასების რამდენიმე კომპონენტის გამოყენებით, რომლებიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

5. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით. მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერიითი ან/და ზეპირი ფორმით, გარდა წერიითი და ზეპირი შეფასებისა, კურსის საჭიროების შესაბამისად, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.

6. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:

ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერიითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;

ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.

7. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა.

8. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

9. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით:

დადებითი შეფასებები:

ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;

ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;

გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;

დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;

ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებები:

ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

10. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

11. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
12. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0–40 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომი არის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სხვა სასწავლო კურსების ტოლფასი არჩევითი კვლევითი კომპონენტი. იგი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა – 30 ქულა, ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა, გადმოცემის უნარი – 15 ქულა, სიახლე – 10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა (კითხვებზე პასუხის გაცემა) – 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

სასწავლო გეგმის სტრუქტურა

სასწავლო გეგმა																	
№	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება						კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
				ლექცია	პრაქტიკული/პრაქტიკა	ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი
	სპეციალობის ძირითადი საგნები	165															
1	შესავალი სამართალმცოდნეობაში	5	125	15		27	1	2	80	5							
2	ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია	5	125	28		14	1	2	80	5							
3	სამართლის მეთოდები	5	125	15		27	1	2	80		5						
4	შესავალი სამოქალაქო სამართალში	5	125	15		27	1	2	80		5						
5	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	5	125	15		27	1	2	80	5							
6	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი	5	125	22		20	1	2	80		5						
7	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	5	125	15		27	1	2	80		5						
8	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	5	125	15		27	1	2	80			5					
9	სანივთო სამართალი	5	125	15		27	1	2	80			5					
10	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	5	125	25		17	1	2	80			5					
11	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I	5	125	22		20	1	2	80			5					
12	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	5	125	24		23	1	2	75			5					
13	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	5	125	15		27	1	2	80				5				
14	სახელმწიფო სამართალი	5	125	27		15	1	2	80				5				

15	სამოქალაქო სამართლის პროცესი	5	125	24		23	1	2	75					5			
16	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II	5	125	22		20	1	2	80				5				
17	ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი	5	125	15		27	1	2	80				5				
18	საარჩევნო სამართალი	5	125	15		27	1	2	80					5			
19	სისხლის საპროცესო სამართალი I ნაწილი	5	125	15		27	1	2	80						5		
20	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	5	125	15		27	1	2	80					5			
21	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი III	5	125	22		20	1	2	80					5			
22	სისხლის საპროცესო სამართალი II ნაწილი	5	125	15		27	1	2	80							5	
23	საერთაშორისო საჯარო სამართალი (ზოგადი ნაწილი)	5	125	14		28	1	2	80						5		
24	მუნიციპალური სამართალი	5	125	15		27	1	2	80						5		
25	სამოხელეო სამართალი	5	125	15		27	1	2	80							5	
26	შრომის სამართალი	5	125	15		27	1	2	80							5	
27	საერთაშორისო საჯარო სამართალი (კერძო ნაწილი)	5	125	15		27	1	2	80							5	
28	კაზუსის ამოხსნის მეთოდები სისხლის სამართალში	5	125	15		27	1	2	80							5	
29	კაზუსის ამოხსნის მეთოდები სამოქალაქო სამართალში	5	125	15		27	1	2	80							5	
30	იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში (სასამართლო უნარ-ჩვევები)	5	125	15		27	1	2	80								5
31	იმიტირებული სასამართლო პროცესი სამოქალაქო სამართალში	5	125	15		25	3	2	80								5
32	სასწავლო პრაქტიკა/კლინიკური სწავლება	10	250		100				150								10
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	30											5	10	5	10	
33	საბაკალავრო ნაშრომი	10	250		40				210								
34	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	5	125	25		17	1	2	80								
35	მედია სამართალი	5	125	15		27	1	2	80								

36	სანოტარო სამართალი	5	125	15		27	1	2	80								
37	მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება	5	125	27		15	1	2	80								
38	მიწის სამართალი	5	125	15		27	1	2	80								
39	საკორპორაციო სამართალი	5	125	15		27	1	2	80								
40	გარემოსდაცვითი სამართალი	5	125	15		27	1	2	80								
41	დემოკრატია და მოქალაქეობა	5	125	15		27	1	2	80								
42	ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა სამართალი	5	125	24		23	1	2	75								
43	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	5	125	15		27	1	2	80								
44	კრიმინოლოგია	5	125	15		26	2	2	80								
45	სამართლის ფილოსოფია	5	125	27		15	1	2	80								
46	საკანონმდებლო ტექნიკის საფუძვლები	5	125	15		27	1	2	80								
47	რომის სამართალი	5	125	15		27	1	2	80								
48	საქართველოს საგადასახადო სამართალი	5	125	15		27	1	2	80								
49	ქართული ჩვეულებითი სამართალი	5	125	28	2	12	1	2	80								
50	პროფესიული (იურიდიული) ეთიკა	5	125	15		27	1	2	80								
51	საბანკო სამართალი	5	125	15		27	1	2	80								
	საუნივერსიტეტო საგნები	45															
52	აკადემიური წერა	3	75	8		18	2	2	45	3							
53	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	125	17		25	1	2	80	5							
54	ფსიქოლოგიის საფუძვლები	2	50	14		3	1	2	30	2							
55	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	3	75	15		8	4	3	45		3						
56	ქართული ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი)	5	125	15		26	4	5	75		5						
57	ქართული ხელოვნების ისტორია (ზოგადი კურსი)	5	125	30		13	2	3	77			5					
58	ფილოსოფიის შესავალი	2	50	15		15	1	2	17	2							
	ინგლისური ენა	20															

59	ინგლისური ენა, A1	5	125			42	1	2	80	5							
60	ინგლისური ენა, A2	5	125			42	1	2	80		5						
61	ინგლისური ენა, ელემენტარული B1 III	5	125			42	1	2	80			5					
62	ინგლისური ენა (დარგობრივი) B2	5	125			42	1	2	80				5				
	სულ ჯამი	240								32	25	38	30	25	25	35	30

შენიშვნა ინგლისური ენის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით ინგლისური ენის სწავლება მოიცავს სულ 20 კრედიტს. ინგლისური ენის სწავლება ხდება სტუდენტთა ცოდნის დონის მიხედვით შემდეგი სქემის შესაბამისად:

1. ნულოვანი დონის სტუდენტები ენის შესწავლას იწყებენ A-1 საფეხურით და აგრძელებენ A-2 დონით თანმიმდევრულად.
2. საბაზო დონის მქონე სტუდენტები ენის შესწავლას იწყებენ A-2 დონით და აგრძელებენ B-1 დონით თანმიმდევრულად.

სწავლის შედეგების რუკა								
№	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	სპეციალობის ძირითადი საგნები	165						
1	შესავალი სამართალმცოდნეობაში	5	+	+	+		+	+
2	ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია	5	+	+				
3	სამართლის მეთოდები	5	+	+	+	+	+	+
4	შესავალი სამოქალაქო სამართალში	5	+	+	+	+	+	+
5	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	5	+	+	+		+	+
6	სისხლის სამართლის ზოგადი	5	+	+	+		+	+

	ნაწილი							
7	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	5	+		+			
8	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	5	+	+	+		+	+
9	სანიეტო სამართალი	5	+	+	+			+
10	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	5	+	+	+	+	+	+
11	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I	5	+	+	+		+	+
12	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	5	+	+	+			
13	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	5	+	+	+			+
14	სახელშეკრულებო სამართალი	5	+	+	+	+	+	+
15	სამოქალაქო სამართლის პროცესი	5	+	+	+		+	+
16	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II	5	+	+	+		+	+
17	ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი	5	+	+	+		+	+
18	საარჩევნო სამართალი	5	+	+	+	+	+	+
19	სისხლის საპროცესო სამართალი I ნაწილი	5	+	+	+	+	+	+
20	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	5	+	+	+		+	+
21	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი III	5	+	+	+		+	+
22	სისხლის სამართლის პროცესი II ნაწილი	5	+	+	+	+	+	+
23	საერთაშორისო საჯარო სამართალი (ზოგადი ნაწილი)	5	+	+				+
24	მუნიციპალური სამართალი	5	+	+	+		+	+
25	სამოხელეო სამართალი	5	+	+	+	+	+	+
26	შრომის სამართალი	5	+	+	+		+	+
27	საერთაშორისო საჯარო სამართალი (კერძო ნაწილი)	5	+	+	+	+		+
28	კაზუსის ამოხსნის მეთოდები სისხლის სამართალში	5	+	+	+		+	
29	კაზუსის ამოხსნის მეთოდები სამოქალაქო სამართალში	5	+	+	+		+	
30	იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში (სასამართლო უნარ-ჩვევები)	5	+	+	+	+	+	+
31	იმიტირებული სასამართლო პროცესი სამოქალაქო	5	+	+	+	+	+	+

	სამართალში							
32	სასწავლო პრაქტიკა/კლინიკური სწავლება	10	+	+	+	+		+
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	30						
33	საბაკალავრო ნაშრომი	10	+	+	+	+	+	+
34	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	5	+	+	+	+	+	
35	მედია სამართალი	5	+	+	+		+	+
36	სანოტარო სამართალი	5	+	+	+	+	+	
37	მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება	5	+	+	+	+	+	
38	მიწის სამართალი	5	+	+	+	+	+	
39	საკორპორაციო სამართალი	5	+	+	+		+	
40	გარემოსდაცვითი სამართალი	5	+	+	+	+	+	+
41	დემოკრატია და მოქალაქეობა	5	+	+	+	+	+	+
42	ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა სამართალი	5	+	+	+		+	+
43	არასრულწლოვანთა მართმსაჯულება	5	+	+	+	+	+	+
44	კრიმინოლოგია	5	+	+	+	+	+	+
45	სამართლის ფილოსოფია	5	+	+			+	
46	საკანონმდებლო ტექნიკის საფუძვლები	5	+	+	+	+	+	+
47	რომის სამართალი	5	+	+	+			
48	საქართველოს საგადასახადო სამართალი	5	+	+	+	+	+	+
49	ქართული ჩვეულებითი სამართალი	5	+				+	
50	პროფესიული(იურიდიული) ეთიკა	5	+	+	+	+	+	+
51	საბანკო სამართალი	5	+	+	+	+		
	საუნივერსიტეტო საგნები	45						
52	აკადემიური წერა	3	+	+		+	+	
53	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	+	+		+		
54	ფსიქოლოგიის საფუძვლები	2	+	+	+	+	+	+
55	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	3	+	+	+	+	+	+
56	ქართული ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი)	5	+	+	+	+	+	+
57	ქართული ხელოვნების ისტორია(ზოგადი კურსი)	5	+	+	+	+	+	+
58	ფილოსოფიის შესავალი	2	+	+	+	+	+	+
	ინგლისური ენა	20						
59	ინგლისური ენა, A1	5	+	+	+	+	+	+

60	ინგლისური ენა, A2	5	+	+	+	+	+	+
61	ინგლისური ენა, ელემენტარული B1 III	5	+	+	+	+	+	+
62	ინგლისური ენა (დარგობრივი) B2	5	+	+	+	+	+	+

12. პროგრამის ადამიანური რესურსი

1. **დოდო ჯულუხაძე** - სამართლის დოქტორი, პროფესორი და **გიორგი მიქელაძე** - სამართლის დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი (სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I-II-III, კაზუსის ამოხსნის მეთოდები სისხლის სამართალში);
2. **ირმა მერებაშვილი** - სამართლის დოქტორი, პროფესორი და ლია კვეციანი - სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი (სამოქალაქო სამართლის პროცესი, იმიტირებული სასამართლო პროცესი სამოქალაქო სამართალში);
3. **ანზორ მახარაძე** - სამართლის დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი (კრიმინოლოგია, სისხლის სამართლის საპროცესო ნაწილი I-II, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში);
4. **ნუგზარ ფუტყარაძე** - სამართლის დოქტორი, პროფესორი. (კონსტიტუციური სამართალი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები);
5. **ლია კვეციანი** - სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი; (მიწის სამართალი, საკორპორაციო სამართალი, კაზუსის ამოხსნის მეთოდები სამოქალაქო სამართალში);
6. **ნიკოლოზ მეგრელიშვილი** - სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი (საერთაშორისო საჯარო სამართალი ზოგადი და კერძო ნაწილი);
7. **ლინდა შალამბერიძე-ვერძაძე** - სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი, (ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმშეკრულებო სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, სანოტარო სამართალი, მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, შრომის სამართალი);
8. **ია შალამბერიძე** - სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი, (შესავალი სამოქალაქო სამართალში; სანივთო სამართალი; კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, მედია სამართალი, სასწავლო პრაქტიკა/კლინიკური სწავლება);
9. **რაჟდენ ფუტყარაძე** - სამართლის დოქტორი, მოწვეული ლექტორი (ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მუნიციპალური სამართალი, შესავალი სამართალმცოდნეობაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევითა სამართალი, ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი);
10. **მზია შავაძე** - სამართლის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი, (საარჩევნო სამართალი; სამოხელეო სამართალი; რომის სამართალი; პრაქტიკა/კლინიკური სწავლება);
11. **დავით სამხიძე** - სამართლის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი, (სამართლის მეთოდები; დემოკრატია და მოქალაქეობა, გარემოსდაცვითი სამართალი, პროფესიული (იურიდიული ეთიკა), საკანონმდებლო ტექნიკა);
12. **თენგიზ მოისწრაფეშვილი** - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, (სამართლის ფილოსოფია);
13. **ხათუნა მურადიშვილი** - საჯარო მართველობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი (საგადასახადო სამართალი);
14. **გიორგი აბუსელიძე** - ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული ლექტორი, (საბანკო სამართალი);
15. **თემურ ტუნაძე** - ისტორიის დოქტორი, პროფესორი (ქართული ჩვეულებითი სამართალი);
16. **თეა ხინთიბიძე** - კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი, (ფსიქოლოგიის საფუძვლები);
17. **თალიკო ბერიძე** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, (აკადემიური წერა);
18. **თამილა ჩურკვიძე** - მოწვეული ლექტორი (უცხო ენა);
19. **სულხან ალექსაია** - ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, (ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია და ისტორია);
20. **ივერი მუკუტაძე** - მათემატიკის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი, (საოფისე კომპიუტერული პროგრამები);
21. **ნათელა ბერიძე** - სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი მასობრივ კომუნიკაციაში, პროფესორი, (ფილოსოფიის შესავალი);

22. ნონა შუმანიძე - ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი, პროფესორი, (ქართული ხელოვნების ისტორია);
23. ლელა კუკულაძე - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, (ლიტერატურა).

3. პროგრამის მატერიალური რესურსი:

პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აუდიტორიებში ლექციებისა და პრაქტიკულ-სემინარული სამუშაოების ჩატარებას, უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

სამართლის პროგრამის მიმართულებას გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული კურსების შესწავლისათვის საჭირო ლიტერატურა, აგრეთვე ლიტერატურა მონათესავე დისციპლინებში.

არსებობს ელექტრონული სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. არსებობს სამეცნიერო ჟურნალების, სპეციალობის შესაბამისად სხვადასხვა ჟურნალების, ცალკეული სამეცნიერო სტატიის კოლექცია. არსებობს ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ემსახურება მომხმარებელს. გარდა ამისა, სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ ლექტორის მიერ შედგენილი მოკლე სალექციო კურსებით როგორც ელექტრონული, ისე ქსერო-ასლების ვერსიებით, რომელთა გავრცელებასაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს თვით უნივერსიტეტი. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის ლექტორების პირადი ბიბლიოთეკებით.

პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური კონტიგენტი: მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ყოველწლიურად 25 სტუდენტის მიღებას.

დასაქმების სფეროები: სამართლის ბაკალავრს შეუძლია საქმიანობის განხორციელება საჯარო, კორპორაციულ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში. იმისთვის, რომ სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონემ შეძლოს ადვოკატის, პროკურორის ან მოსამართლის პროფესიით საქმიანობა, მან უნდა გაიაროს სპეციალობაში სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამავე დროს, საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.